

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები როგორც ეკონომიკაში ფულის მასის რეგულირების ინსტრუმენტი

ელიავა ლია – პროფესორი, ფინანსების დეპარტამენტი, ქუთაისის უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

გრიგოლაშვილი თეონა – დოქტორანტი, ფინანსების დეპარტამენტი, ქუთაისის უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Reserve Ratio Requirements as an Instrument of Money Supply Regulation on Country's Economy

Eliava Lia – Professor, Department of Finances, University of Kutaisi, Kutaisi, Georgia

Grigolashvili Teona – PhD Student, Department of Finances, University of Kutaisi, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: Monetary policy instrument of NBG- reserve ratio or cash reserve ratio- is effective instrument of regulation money supply and level of dollarization. Main reason for implementation of reserve ratios is banking sector's ability to create excess money supply, which is regulated by attracting funds to withdraw from turnover

Research methodology: Date analyses method

Results and implications: From every 100 Gel banking sector creates 2448 Gel extra liabilities. Therefore national bank considers this situation and uses this instrument to regulate credit resources.

Conclusion: From every 100 Gel banking sector creates 2448 Gel extra liabilities. Therefore national bank considers this situation and uses this instrument to regulate credit resources.

Keywords: reserve ratio, money supply, monetary policy instrument, banking system, national bank

მესავალი და მიზანი: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტი - მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები - წარმოადგენს როგორც ეკონომიკაში ფულის მასის, ასევე ეკონომიკის დოლარიზაციის დონის რეგულირების ეფექტიან ინსტრუმენტს. დარეზერვების ნორმის შემოღება განპირობებულია საბანკო სექტორის უნარით შექმნას ჭარბი ფულის მასა, რომლის მოთოკვაც შესაძლებელია მათ მიერ მოზიდული სახსრების ნაწილის ბრუნვიდან ამოღების გზით.

კვლევის მეთოდოლოგია: სტატიაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ანალიზური კვლევის მეთოდი

შედეგები და გამოყენება: საქართველოში საბანკო სექტორი ყოველ 100 ლარზე ქმნის 2448 ლარის ჭარბ ვალდებულებებს. შესაბამისად, დარეზერვების არსებული ნორმები ითვალისწინებენ საბანკო სექტორის ამ უნარს და ზღუდავენ ეკონომიკის გაჯერებას საკრედიტო რესურსებით.

დასკვნა: ფულის მასის რეგულირებისათვის დარეზერვების ნორმა საქართველოში გამოიყენება 1993 წლიდან, ხოლო 2011 წლიდან კი მისი მაღალი ეფექტიანობა გამოვლინდა ეკონომიკის დედოლარიზაციის საქმეში. ამ პერიოდში კარდინალურად შეიცვალა დარეზერვების მეთოდოლოგია, რამაც დადებითი ეფექტი იქონია ეკონომიკის დოლარიზაციის დონეზე, რომელიც შემცირდა 72%-დან 60%-მდე. 2014-2015 წლების სავალუტო კრიზისმა ეს ეფექტი მნიშვნელოვნად შეასუსტა, რაც გამოიხატა ეკონომიკის დოლარიზაციის მაჩვენებლის 65%-მდე ზრდაში.

საკვანძო სიტყვები: მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, ფულის მასა, მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტი, საბანკო სისტემა, ეროვნული ბანკი

ქვეყნის ფინანსური მდგრადობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ადეკვატური

მონეტარული პოლიტიკა, რომელიც, პირველ რიგში გულისხმობს, ეკონომიკაში ფულის მასის სიდიდის ოპტიმალური დონის შენარჩუნებას. მონეტარულ პოლიტიკაში ადმინისტრაციული ხასიათის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები გააჩნია პრაქტიკულად ყველა ცენტრალურ ბანკს. ისტორიულად მათი წარმოშობა დაკავშირებულია კომერციულ ბანკებში დეპოზიტების ერთგვარი უზრუნველყოფის აუცილებლობის არსებობის შედეგად. თავდაპირველად სარეზერვო მოთხოვნები გამოყენებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალური სარეზერვო სისტემის შექმნამდე დიდიხნით ადრე, 1863 წელს. იმდროინდელი საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად, ნიუ-იორკის ბანკებისათვის სარეზერვო მოთხოვნა შეადგენდა ანაბრების 25%. რეზერვები დეპონირებულ იყო თვით ბანკების ანგარიშებზე. აშშ-ს სხვა 60 მსხვილი ქალაქის საკრედიტო დაწესებულებისთვისაც მოქმედებდა ანალოგიური სარეზერვო მოთხოვნები. ამ თანხების ნახევარი რეგიონულ ბანკებს უნდა შეენახათ ნიუ-იორკის ბანკების ანგარიშებზე. სხვა ბანკებისათვის დარეზერვების ნორმა შეადგენდა 15%, რომელთა სახსრების 2/3 განთავსებული იყო 60 მსხვილი ქალაქის უფრო მაღალი იერარქიის რეგიონული ბანკების ანგარიშებზე[6].

სავალდებულო რეზერვების საკანონმდებლო რეგულირება აშშ-ში დაიწყო 1913 წლიდან ფედერალური სარეზერვო სისტემის შექმნის შემდგომ. თანამედროვე გაგებით და დანიშნულებით სავალდებულო რეზერვები აშშ-ში 1930 წლიდან იქნა გამოყენებული, ცოტა მოგვიანებით ის მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც დაინერგა[6]. თავდაპირველად იგი გამოიყენებოდა უფრო ვიწრო მიზნების მისაღწევად. კერძოდ, მოზიდულ და საკუთარ სახსრებს შორის პროპორციის შესანარჩუნებლად. ცალკეულ შემთხვევაში გერმანიაში გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან, ხოლო ესპანეთში 70-იანი წლების ბოლოდან სარეზერვო მოთხოვნები გამოიყენებოდა, როგორც საბანკო სისტემის ლიკვიდობაზე ზემოქმედების მექანიზმი.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ თანახმად, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები წარმოადგენს კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვებს, რომელიც დგინდება საკანონმდებლო წესით და წარმოადგენს კომერციული ბანკების მიერ მოზიდული სახსრების გარკვეულ პროცენტს. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ან დაუტოვოს მინიმალური სარეზერვო სახსრები კომერციულ ბანკს მათი გამოყენებლობის პირობით, ან დაავალდებულოს ბანკები მოახდინონ სარეზერვო სახსრების დეპონირება ეროვნულ ბანკში [1].

ცენტრალური ბანკები მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების სახით ადგენენ გარკვეულ კოეფიციენტს, რომლის მიხედვითაც თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია საკუთარი ბალანსური ვალდებულებების შესაბამისი თანხა ხელუხლებელი ნაშთის სახით გააჩეროს ცენტრალურ ბანკში სპეციალურ საკორესპოდენტო ანგარიშებზე[3]. მინიმალური რეზერვების ნორმა სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგვაროვნად გაიანგარიშება. განსხვავებულია მისი პერიოდულობაც, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. არსებობენ ქვეყნები, რომლებმაც სავალდებულო რეზერვების, როგორც ფულად საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტის გამოყენებაზე უარი განაცხადეს. თანამედროვე ეტაპზე მინიმალური სავალდებულო რეზერვები მეტწილად გამოიყენება განვითარებად და მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც მათი სავალდებულო რეზერვების ნორმა განსხვავებულია თითოეულ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე. მაგალითად, 2015 წლის აგვისტოსათვის დარეზერვების ნორმა ადგილობრივი

ვალუტისათვის სომხეთსა და აზერბაიჯანში შეადგენდა შესაბამისად 2% და 0,5%, ჩინეთში - 18%, ევროზონაში - 2%, თურქეთში - 11,5%[7].

თანამედროვე პრაქტიკაში ცენტრალური ბანკები მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებს იყენებენ მიმოქცევაში ფულის მასის რეგულირებისათვის ფულის მულტიპლიკატორის ზემოქმედების საშუალებით, ანუ ფულის უნარით საკრედიტო აქტივობის შედეგად შექმნას ახალი ფული. ამ მონეტარული ინსტუმენტის გავლენა ფულის მიმოქცევის რეგულირების ეფექტურობაზე დამოკიდებულია ქვეყნის საერთო მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე, ასევე სხვა მონეტარული ინსტუმენტების გამოყენების ინტენსივობასა და ეფექტურობაზე.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები დგინდება როგორც პროცენტი ბანკის აქტივების ან ვალდებულებების მოცულობიდან და მათი სახეების მიხედვით. აქტივების მიხედვით სარეზერვო მოთხოვნები დგინდება საკრედიტო დაბანდებების მოცულობის სამართავად, რა დროსაც გაითვალისწინება გაცემული კრედიტების მოცულობა, ერთ პირზე გაცემული კრედიტების რაოდენობა და სხვა. ეს მეთოდი ითვლება ფრანგულ მიგნებად და იგი პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ საკრედიტო დაბანდებების მოცულობა იზღუდება კრედიტების საერთო თანხის ან მათი ნაზრდის ზედა ზღვარის დადგენით. აღნიშნული პარამეტრები დგინდება ინდივიდუალური წესით თითოეული ომერციული ბანკისათვის. შესაძლებელია ასევე შეიზღუდოს ბანკის მიერ ერთ კლიენტზე გაცემული კრედიტების რაოდენობა და მოცულობა. ამგვარი შეზღუდვების გათვალისწინებით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების განსაზღვრას უწოდებენ “საკრედიტო ჭერს”. დადგენილი საკრედიტო ლიმიტების დარღვევისათვის კომერციული ბანკები ცენტრალური ბანკის მიერ ჯარიმდებიან მაღალი სააღრიცხვო პროცენტის გადახდის ან ლიმიტის თანხის ნამეტის ცენტრალურ ბანკში უპროცენტო ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

ვალდებულებების მიხედვით სარეზერვო მოთხოვნების დადგენისას გაითვალისწინება ვალდებულებების მთლიანი მოცულობა ან პასივების ცალკეული მუხლები. დღეისათვის ეს მეთოდი არის ყველაზე გამოყენებადი ცენტრალური ბანკების პრაქტიკაში.

საქართველოში ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დადგენილია სარეზერვო მოთხოვნები ისეთ ვალდებულებებზე, როგორცაა სახელმწიფო ინსტიტუტების (გარდა ფინანსთა სამინისტროსი) მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები; სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები; არარეზიდენტი ცენტრალური და კომერციული ბანკების “ლორო” ანგარიშები, დეპოზიტები და სესხები; კლიენტთა მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები; რეზიდენტი და არარეზიდენტი საფინანსო ორგანიზაციების სესხები; საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები; ბროკერული ოპერაციები და სხვ. ამასთან საპროცენტო განაკვეთები განსხვავებულია ლარსა და უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ვალდებულებებისათვის. ერთწლამდე ვადიანობის სახსრებზე ლარში სარეზერვო ნორმა შეადგენს 10% (ერთ წელზე მეტი ვადიანობის ვალდებულებები არ რეზერვდება), ხოლო უცხოურ ვალუტაში ვალდებულებებისათვის დადგენილია 15% ერთ წლამდე მოზიდულ სახსრებზე, 1-დან 2 წლამდე ვალდებულებებზე – 5% (ორ წელზე მეტი ვადიანობის მოზიდული სახსრები არ რეზერვდება) [2].

2011 წლამდე კომერციული ბანკების რეზერვები მთლიანად შედგებოდა უცხოური ვალუტისგან - ლარით მოზიდული სახსრებიც კი იყო დარეზერვებული უცხოურ ვალუტაში, ხოლო დარეზერვების ნორმა შეადგენდა 5%-დან 10%-მდე ვალდებულებების სახეების მიხედვით. 2011 წელს

კი ეროვნული ბანკის მიერ შემოღებულ იქნა დარეზერვების 10% და 15% ნორმები, რომლებიც დღესაც ძალაშია.

კომერციული ბანკების სავალდებულო დარეზერვების ნორმის ზრდა განპირობებული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაჟინებული მოთხოვნით, რათა ეროვნულ ბანკს შეემცირებინა დოლარიზაციის მაჩვენებელი საქართველოს ეკონომიკაში. 2008-2010 წლებში ქვეყნის ეკონომიკის დოლარიზაციის მაჩვენებელი სასესხო დავალიანების მიხედვით საშუალოდ შეადგენდა 72%, ხოლო პერიოდის შიგნით ეს მაჩვენებელი იზრდებოდა 78%-მდე. დარეზერვების ახალი ნორმების შემოღება აღმოჩნდა ეფექტიანი დოლარიზაციის დონის შემცირების კუთხით, ვინაიდან მომდევნო პერიოდში, 2011 წლიდან 2014 წლის დეკემბრამდე, იგი ხასიათდებოდა განუზრელი კლებით. 2014 წლის ნოემბერში ეკონომიკის დოლარიზაციის მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად დაიკო და შეადგინა 60%.

2014 წლის მიწურულს განვითარებულმა სავალუტო კრიზისმა ნეგატიურად იმოქმედა ეროვნული ბანკის ეფექტიან სარეზერვო პოლიტიკაზე. ლარის კურსის ვარდნის შედეგად მკვეთრად გაიზარდა კომერციული ბანკების მოზიდული სახსრების დოლარიზაციის მაჩვენებელი, ხოლო გაცემული სესხების მიხედვით ამ მაჩვენებელმა 64-65% შეადგინა.

მიუხედავად იმისა, რომ სარეზერვო მოთხოვნები ეფექტიანი ინსტრუმენტია ეკონომიკის დოლარიზაციის საქმეში, მისი მთავარი დანიშნულება მაინც ქვეყანაში ფულის მასის რეგულირებას წარმოადგენს. სარეზერვო მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ განპირობებულია იმით, რომ საბანკო საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება ახალი ფული. ეს უკანასკნელი, უფროს წორად, ვირტუალური ფული იქმნება ცალკეული ბანკის მიერ, თუმცა იგი არის ქვეყანაში მოქმედი ყველა ბანკისა და სხვა ფინანსური შუამავლის საქმიანობის შედეგი ნაწილობრივი (ფრაქციული) სარეზერვო სისტემის მოქმედების პირობებში. ფრაქციული დარეზერვების სისტემა (Fractional reserve system) წარმოადგენს სისტემას, რომლის დროსაც ბანკები რეზერვების სახით გამოიყენებენ დეპოზიტებზე შენახული თავიანთი რესურსების მხოლოდ ნაწილს [3].

ბანკების მიერ ახალი ვირტუალური ფულის შექმნის პროცესი ძალზე მარტივია. ერთი შეხედვით, ბანკები კრედიტად გასცემენ იმ ფულს, რომელსაც მას მეანაბრები მიანდობენ. მაგრამ ფაქტობრივად ეს ასე არ არის. ბანკები ქმნიან ახალ ფულს სპეციალურად კრედიტისათვის. და მას ქმნიან არა დეპოზიტებიდან, არა საკუთარი კაპიტალიდან ან მოგებიდან, არამედ სავალო ხელწერილებიდან, ანუ, იგივე გაცემული კრედიტებიდან. საბანკო სექტორს დეპოზიტის სახით მიღებულ ყოველ რეალურ 100 ლარზე შეუძლია შექმნას ვირტუალური 900 ლარი, ანუ, იგივე, ჭარბი ვალდებულებები. საქართველოს საბანკო სექტორში ვალდებულებების ზრდა ყოველ 100 ლარზე ტოლია 2448 ლარისა (ჭარბი ვალდებულებები 900 ლარი გამრავლებული სეზ-ის მიერ გათვლილ ფულის მულტიპლიკატორზე - 2.72) [3].

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები მნიშვნელოვან წილად გავლენას ახდენენ კომერციული ბანკების ლიკვიდური სახსრების მოცულობაზე. ის, როგორც ფულად საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტი, შეიძლება ჩაითვალოს საკრედიტო ფულის ემისიის მაკონტროლებელ მექანიზმადაც. იმდენად რამდენადაც, ცენტრალური ბანკი არეგულირებს დარეზერვების ნორმას, ზრდის მას როდესაც სურს საკრედიტო ექსპანსიის შემცირება და ამით კომერციულ ბანკებს საშუალებას არ აძლევს ზედმეტი ფულადი რესურსებით გააჯერონ ბაზარი. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ნორმას ეროვნული ბანკი ამცირებს მაშინ, როდესაც იქმნება კრიზისული სიტუაცია და ბანკებს საშუალება ეძლევათ გაზარდონ დაკრედიტება შესუსტებული რეგულირების პირობებში.

დღეს არსებული რთული მაკროეკონომიკური მდგომარეობის ფონზე ეროვნულ ბანკში უმოძრაოდ დალექილი კომერციული ბანკების სარეზერვო ფული შეიძლება ეფექტურად იქნას გამოყენებული საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორის ასაღორძინებლად. საკმარისია ბრაზილიის მაგალითის მოყვანა, სადაც კომერციული ბანკებისადმი მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა შეადგენდა მოზიდული დეპოზიტების 25%. ბანკებს შეუძლიათ ამ სახსრების დაკრედიტებისათვის გამოყენება მხოლოდ სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოს მიერ დადგინილი საბაზროზე უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთებით. ბრაზილიის კომერციული ბანკები სარეზერვო ფულის ცენტრალურ ბანკში უმოქმედოდ შენახვას ამჯობინებენ ეს ფული ამუშაონ დაბალ პროცენტის დაკრედიტების მოცემული ფორმით. საქართველოს კომერციული ბანკების მიერ ბრაზილიის ამ გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება-განვითარებას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“.
2. „კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესი“, სეზ-ის პრეზიდენტის 2011 წლის 11 თებერვლის N10/054 ბრძანება.
3. ელიავა ლ., საბანკო სარეზერვო მოთხოვნები და ჰაერიდან შექმნილი ფული, ჟ., *ბიზნესი და კანონმდებლობა*, თებერვალი, 2012.
4. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2014, 548 გვ.
5. **Gerald Caprio, Jr, William C. Hunter Georje G Kaufman, Danny M.Leipzig.** Preventing Bank Crisis: Lessons From Resent Global Bank Failures, EDI Development Studies. The World Bank, Washington, D.C.,1999.
6. www.nbg.gov.ge
7. Reserve Requirements: History, Current Practice, and Potential Reform; Federal Reserve Bulletin, June 1993, <http://www.federalreserve.gov/monetarypolicy/0693lead.pdf>
8. Reserve Ratios, www.centralbanknews.info/p/reserve-ratios.html